კვირა, 3 ივლისი 1911 წ. ფასი ყველგან 10 კაპ.

# სალამური



№ 19 კარიკატურული ჟურნალი

წერილები და ფული გამოიგზავნება ამ ადრესით: Тифлисъ, Типография Т-ва „Шрома". Василію Карамановичу Болквадзе.

## ახალ თაობას.

გაზაფხულის თაიგული,
მონარნარე, ქორფა ია,
სიყვარულის მოციქული,
საიმედოთ გაშლილია,
აბა ნახეთ რა რიგ ცელქობს,
რა რიგ ტოკავს, ეხარება,
თვით ცხოვრების მომავალი,
მის გულ-სახეს ედარება!
არსებაა ჯერ უმანკო,
სიმწარე მას არ უგრძვნია,
გაიშალე, გაიცინე
თვით სიცოცხლევ, ნორჩო ია!..
შენ ამშვენებ ქვეყნის მდელოს,
არე შენით ცოცხალია,
მაგრამ იავ, გეტყვი, კარგო,
ხანგრძლივად ნუ გიხარია,
რომ შენ მაგვარ მხიარული,
უნაღვლო და უდარდელი
იქნები...და მწარ ცხოვრებამ
არ შეგახოს ტანჯვის ხელი!..
ეჰ, ყვავილო, მე მინახავს
მჭკნარ ფოთოლის მწარე ბედი!
შემოდგომის ქარს მიჰქონდა,
შორდებოდა გულს იმედი!..
შორს მიქონდა, მიტიროდა,
შორდებოდა მშობელ არეს,
კავშანი განუწყვეტი
გულს ასმევდა ნაღველს მწარეს!..
და შენც, იავ, სიყვარულის
პირველ სხივო, თაიგულო!..
მომავალის ტკბილ შეხვედრა,
— ნუ იფიქრებ—დაიგულო!..
ქარიშხალი შენც დაგქროლებს,
შენც შეგიკრთობს ლამაზ თვალებს,
მაგრამ გირჩევ, ნუ იტირებ,
ცრემლი უფრო გაგამწარებს!
ნუ იტირებ თვით ცხოვრების
პირველ სხივო, თაიგულო,
ნუ შედრკები... შენი ხვედრი,
შენვე უნდა შეასრულო!..
დაამშვენე ქვეყნის მდელო,
ჩაუნერგე გულს იმედი,
რომ მომავლის საიმედო,
ულიმოდეს ტანჯულს ბედი!..
დე, ქარიშხალს არ მოსწონდე,
გიწყლულებდეს ქორფა თვალებს,
ნუ იტირებ სიცოცხლის მზევ,
ნუ იტირებ, გაგამწარებს!..

გელა.

---

## ქალაქის თვითმართველობა. *)

### I.

ძირითადი იდეა-მიზანი ყოველგვარის თვითმართველობისა არის ადგილობრივ მოთხოვნილებათა ადგილობრივ ძალების და საშუალებით დაკმაყოფილება. ეს იდეა თავისთავათ არ ახალია ძველია. პირველ ყოფილ ოჯახის მოთხოვნილება განსაკუთრებით საკუთარის ძალებით კმაყოფილდებოდა. იქ არა მარტო სულიერი მოთხოვნილებანი ადამიანისა, არამედ მატერიალურიც ოჯახის საკუთარის ძალ-ღონით და საშუალებით სრულდებოდა. ტანისა-

მოსს, ლოგინს, ქვეშსაგებს, თავსახურს, საომარს და სანადირო იარაღს ოჯახი თავისის საკუთარის ძალ-ღონით ამზადებდა. უფრო ფართო წრე რომ ავიღოთ პირველყოფილ ადამიანისა, სახელდობრ თემი, იქაც ამისთანა ტენდენციას, ამისთანა მიმართულებას დავინახავთ. თემი არამც თუ თემურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ელტვის, უფრო შორს მიდის და ხშირად მეზობელ თემთან ომს და ბრძოლას, ე. ი. თავისის ხასიათით სახელმწიფოს მოვალეობას, თავისის საკუთარის ძალით იწყებს და სწყვეტს. ასეთია ჯგუფურის ცხოვრების ძირითადი თვისება. ერთად, ერთს ადგილას და ერთს დროს მცხოვრები. ჯგუფი იძულებით ან სურვილით სცდილობს თავისი ჯგუფის მოთხოვნილება, თავისის ძალ-ღონით, სხვისის შეურეველათ დააკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი. დღევანდელს თვითმართველობასაც სწორედ ეს მიზანი აქვს, და კერძოთ ქალაქის თვითმართველობასაც. ალებ მიცემობის და წარმოების განვითარებასთან ერთად, ქალაქის მცხოვრებთა მოთხოვნილებანიც გაფართოვდენ, ხალხის საზოგადოთ კულტურულ ზრდასთან ერთად მოქალაქეთა კულტურული მოთხოვნილებანიც გაძლიერდენ და აი სწორეთ ამიტომ ქალაქის თვითმართველობათა გამოცანაც მეტად გართულდა. რამდენადაც საზოგადოებრივი მაჯის ცემა გაძლიერდა, იმდენათვე ქალაქის თვითმართველობის გამოცანებიც გახშირდება და მისი მექანიზმი ქალაქების აღორძინების პირველს ხანაში გართულდება. რაც ქალაქის მცხოვრებთ სჭირდებოდათ განათება, წყალი, გაუმჯობესებული გზები, კანალიზაცია, გონიერი და სალი დროს გასატარებელი ადგილები, თეატრი, მხატვრობა, სკოლა და ათასი სხვა რამ, ყოველივე კერძო მესაკუთრის ხელში იყო და მცხოვრებთ ბევრათ მეტს ახდევინებდა ვინემ მისი მიწოდებული საქონელი ღირდა. დღეს კი ქალაქების თვითმართველობათ საკუთარის ძალ-ღონით სურთ ყოველივე ეს თვითონ მიაწოდონ მომხმარებელთ და რაც შეიძლება იაფათ. ამიტომ თვითმართველობანი თვითონ ხდებიან წარმოების მეპატრონეთ და მუშა ხელის დამქირავებლათ და როგორც ამისთანანი მათს მოვალეობას შეადგენს მუშის შედარებით კარგს პირობებში ჩაყენება. რამდენათ ასრულებენ დღეს ქალაქის თვითმართველობანი თავიანთ მიზანს და კერძო ამ უკანასკნელს, ამაზედ შემდეგ.

ხ.—

# შავ ბედს.

ვერა შავ-ბედო! ვერ შეაკვეც
ფრთებს აღმაფრენას,
და ვერ წამართმევ საიდუმლო
სულიერ ლხენას;

ვერ დამიმონებ სულით ამაყს,
გულით ზვიადსა,
ვერ დამავიწყებ საამქვეყნო
მიზანს დიადსა!

დე, მან იტიროს, მან იკვნესოს,
გლოვისა ჰანგზე,
ვინც შენს კალთას ქვეშ ეფარება,—
კრთის დანახვაზე.

მე კი სიმღერათ ამოვქარგავ
ტურფა გაზაფხულს,
და შეთანხმებით შიგ ჩავაქსოვ
განთიადის სულს.

მე ჩემის ქნარით ცის სივრცეში
დავიწყებ სრიალს,
გამოუდგები ფრთა გაშლილი
მზის სხივთა ტრიალს,

ხან ოკეანეს დიდ უფსკრულში
გადავეშვები;
შენ კი შავ-ბედო შორს დარჩები,
ვეღარ მომწვდები.

და თუ ცხოვრება განმაშორებს
სიცოცხლის მხარეს,
სულით მაშვრალი შავ სარეცელს
მივესვენიბი

შენ რას დააკლებ ოცნებისა
სხივს მონარნარეს,
მაშინც შავ-ბედო შორს დარჩები
ვეღარ მომწვდები.

**დარია ახვლედიანი.**

# პატარა ფელეტონი

ბ-ნო რედაქტორო სალამურისავ! არ ვიცი საიდან დავიწყო. თქვენი პატივცემული აზრი, რომ ვიცოდე ჩემს შესახებ, იცოცხლეთ წერილს მოგწერდით, მაგრამ საუბედუროთ არაფერი ვიცი. თუ იმას ფიქრობთ, რომ მასალა შემომელია და იმი-

ტომ შევსწყვიტე თქვენ ჟურნალში თანამშრომლობა, შემცთარი იქნებით. ეგ სიმართლეს მოკლებულია. აი ამ წუთში იმდენი მასალა მაქვს, რომ დღეში ათი ჟურნალი გამოუშვათ ყველას ეყოფა. თუ იმას ფიქრობთ, რომ საავარაკოთ წაედი და იქიდან ველარ მოგაწოდეთ მასალა—ეს პირველზე უფრო მტკნარი სიცრუე იქნება. მართალია მინდოდა აგარაკში წასვლა და დასვენება, მაგრამ ხელი შემიშალა ერთმა გარემოებამ: ბინა ვერც ერთ აგარაკში ვერ ვიშოვნე სულ ყველა სახლები ზოგი ქალაქის გამგეობის წვრილ და მსხვილ მოხელეებს დაუჭერია, ზოგი სხვა და სხვა დაწესებულებების მოსამსახურეებს. მათი საავარაკოთ წასვლის მიზეზი ის ყოფილა, რომ მოსწყენიათ კალამთა წრიპინი და მტვერის ყლაპვა. ჩემდა სასირცხვილოთ უნდა მოგახსენო, ბ-ნო რედაქტორო, რომ თფილისიდან ფეხი არსად გამიდგამს, ამის მიზეზიც მრავალია—მენანება თფილისის თეთრი მტვერის, მყრალი ჰაერის და უმთავრესად ახლად გახსნილ კლუბის დატოვება. ჩემი ორგანიზმი ისე შეეჩვია ამ სამ ნივთს, რომ მათი მოშორება სიცოცხლის განშორებას ნიშნავს. ჩემი ამდენი ხნის სიჩუმის მიზეზი სწორეთ ეს ახალი კლუბი იყო, დღე მძინავს, ღამე კი გათენებამდე ამ კლუბში ვზივარ, ხან ლოტოს ვთამაშობ და ხან კარტს ხან ვიგებ და ხან ვაგებ, ხან მშვენიერ ვახშამს მივირთმევ და ხან კუჭი შიმშილით მიხმება. ამის მიზეზიც მრავალია. მათი გამოცნობა თქვენთვისაც ადვილი იქნება, მაგრამ საქმე ამაში არ არის. ყველა ამ ცვალებითი მდგომარეობის გარდა ხშირათ მეტათ სასიამოვნო მდგომარეობას განვიცდი. ახალ კლუბში ხშირათ მეტათ სასაცილო და სერიოზული ამბები ხდება, ნუღარ იკითხავთ რა ხდება მწვანე მაუდ გადაკრულ რგვალ მაგიდის გარშემო. „ბაქარათა" რაზმი ჯიბის ომს ეწევა. ხმალ-ხანჯლის მაგიერ ჰაერში ჰექა ქუხილი გააქვს ფულის ქისებს. ბაქრისტებთა შორის ხშირათ შეხვდებით ისეთ უცხო პირებს, როგორიც „ნიკაპია" და სხვა. როგორც ჩემი შთაბეჭდილებიდან გამოვიყვანე ბაქარას დიდი მიმზიდველობითი ძალა ჰქონია და ძნელათ გაუძლებს უბრალო მომაკვდავი, რომ არ ჩაითრიოს. არა ნაკლებ იზიდავს ხალხს ეგრეთ წოდებული „ლოტო", ეს ისეთი გასართობია, რომ არასდროს უკურიოზოთ არ თავდება. მოგახსენებთ ერთ შემთხვევას, რომელიც მოხდა ამ რამდენიმე დღის წინათ. ჩვეულებრივ მაგიდებს მისხდომოდენ როგორც მდედრობითი ისე მამრობითი სქესისანი და გულ მოდგინეთ ჩაჰკირკიტებენ კარტს. ერთ მაგიდას მისჯდომოდა რამდენიმე ახალგაზდა თან ვახშამს იულაპებოდენ და თან ლოტოთიც ერთობოდენ. ერთ მათგანს ცოტა ხნის განმავლობაში ფერი ეცვალა, გულმა საშინლათ დაუწყო ძიგძიგი, თვალები გაუფართოვდა, ტუჩები აცმაცუნა და რაღაცას ჩუმათ ჩურჩულებდა. რაც დრო გადიოდა მოუთმენლობა თან და თან ეტყობოდა. დავუგდე ყური. ხმას თან და თან უმატა და მკაფიოთ გავიგონე სიტყვა „43". ბოლოს ისე ხმა მაღლა დაიწყო ყვირილი, რომ ყველას ასე ეგონა, თითქო, „43" გაეხირა ყელში და იხრჩობაო. ცალი ხელით ლუკმას იტენდა პირში და მეორეთი ლობიოს მარცვლებს აწყობდა. უცბათ გაისმა ქუხილი „43" ახალგაზდას თითქო თავს მეხი დაეცა. ამ დროს სწორეთ ჩანგალით პირში ლუკმა მიჰქონდა გაქანებული ჩანგლი პირში იტაკა და ხელი გაუშვა, თან სიმწრით დაიკვნესა „კმარაო". ფული რასაკვირველია მიართვეს, მაგრამ ჩანგლის გამოძრობა კი ვერავინ გაბედა. მიიწვიეს იქვე მჯდომი ექიმი მულინი, მაგრამ ის ისეთი მთვრალი გამოდგა, რომ მეორე ჩანგალი ცხვირში ატაკა (ცხვირის ექიმია და დასტოვა ისე. ამ ამბავმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, თორემ ისე ჯერ არ ვფიქრობდი თქვენ ჟურნალში წერას. სიცხეა და არ შემიძლია.

თუ კიდევ ასეთ კურიოზებს შევხვდი, მოგწერთ, თუ არა და ენკენისთვემდე მშვიდობით—უნდა დავისვენო.

პატივისცემით **ბურნუთი.**

# სამი სიმი

ცას შავი ღრუბელი გადაეკრა... მოპირქუშდა და საზარმა ელვა-გრგვინვამ მიდამოს თავზარი დასცა. ყოველი არსება კანკალებდა. არე-მარემ გლოვის მანტია წამოისხა. პატარა ხნის შემდეგ ცა ისევ მოიწმინდა და მოისრულ სხივებში, თეთრ სამოსელში გახვეული იესო გამოჩნდა... მას ხელთ ეპყრა ჩონგური, რომელზედაც ორი სიმი იყო გაკრული.

იესო ჩემს თავზე დაეშვა და გადმომცა საოცნებო ჩონგური... ერთი სიმი იყო, სიმი ტრფობის, მეორე ცრემლების...

მან მითხრა:

— როცა ყველა სტიროდეს, შენ ტრფობა უმღერე გარემოს, ხოლო როდესაც ყველა მღეროდეს—შენ იტირე!.

სიხარულით გამოვართვი საოცნებო ჩონგური და ალტაცებით სოფელში დავბრუნდი...

ცამ იელვა... და იწყო გრგვინვა. საზარი ქარი ულრან ტყეებს ლეწავდა და აცამტვერებდა ღი-

დებულ ნაშთებს...ირგვლივ ბურუსი იდგა და თვალ-დახუჭული ვიკაფავდი გზას...

— ზზზ...უუუ! მხოლოდ ესმოდა ჩემს ყურს. საშინელ ქარტეხილს უნდა წაელეკა ადამიანები და გადაესროლა არყოფნის მხარეს...

ეხლა ხომ ყველა სტიროდა!

მაშ მე უნდა მემღერა... მაგრამ ჩემი სიმღერა იქვე ქრებოდა, სადაც იბადებოდა...

ცას გადაეშორა შავი ნისლი... არე-მარე განათლდა მზის სხივებისაგან და განცხრომას მიეცა... ახმაურდა სიცოცხლით მთა-ბარი... ახ, რა კარგი იყო, განათებული სამყარო და მზე მცურავი ცის სივრცეზე...ჩემს ყურს ესმოდა მხოლოდ უსაზღვრო სიხარული... „მშვენიერი იყო სიცოცხლე მკვდრეთით აღმდგართათვის“!

და მე უნდა მეტირა ამ დროს...

მაგრამ მე არ ვიტირე... მოვმართე ჩონგური და ავაწკრიალე ორთავ სიმები...

რაღაც აკლდა... დიახ, აკლდა!

ჩემს გულს ამოვართვი ძარღვი და გავაბი მესამე სიმად...

სიმი საერთო სიყვარულისა, სიმი უსაზღვრო ტრფობისა ქვეყნიერებისადმი...

**სერ. კლდიაშვილი.**

---

# ზამთრის სიზმარი.

დრამა სამ მოქმედებათ

(მაქს დრეერისა)

(გაგრძელება. იხ. «სალ. № 19)

**მოქმედება მეორე.**

იგივე დეკორაცია. შემდეგი ღლის საღამოა. ანთებულია ჩამოსაკიდი სანათი. მაგიდასთან ზის ტრუდა, ხელში ხელსაქმე უჭირავს, თვალს არ აშორებს განსს, რომელიც ტყის მცველის ოთახში არენსინ ფოსტლებით წინ და უკან დასეირნობს.

გამოსვლა პირველი.

განს. ეხლა მე შემიძლიან ძველებურად ვაბიჯო არა, ფრეილინ ტრუდა?

ტრუდა. ნამდვილათ. მამაჩემის ვებერთელა ფოსტლებით.

განს. მე კი მეშინოდა ფეხები არ გამფუჭებოდა.

ტრუდა. კარგია რომ თქვენი შიში არ გამართლდა.

განს. ეს ფიქრი ფეხებზე მე ძალიან მაწუხებდა. ჩემი ფეხები ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან.

ტრუდა. მართლა?

განს. მართლა. მე ძალიან მიყვარს ფეხით სიარული.

ტრუდა. ამისთანა ამინდში კი არა ღირდა ესე შორს წასვლა.

განს. მე სწორედ ამისთანა ამინდმა გამომიყვანა გარეთ. ამასთანავე სხვანაირათ რომ ყოფილიყო მე აქ ვერ მოვხვდებოდი. თქვენ განა ამითი კმაყოფილი არა ხართ?

ტრუდა. მაგ გვარი კითხვა მგონი მეტია.

განს. (სიარულს განაგრძობს) მოგზაურობა! მხოლოდ მოგზაურობაში შეუძლია კაცს ნახოს და გამოსცადოს ის, რასაც მე ეხლა ვგრძნობ და შეიგნოს რა არის დამოკიდებულობა. ვინც ცხენით ან სხვა რამით მიდის ის მოახლეა, ფეხით მოსიარულე კი—ბატონი.

ტრუდა. ჩვეულებრივ წინაალმდეგი აზრისანი არიან.

განს. რასაკვირველია, უმრავლესობა ცხოვრებას ეტლებში მოსიარულეთა თვალით უყურებს. მე კი ამგვარ შეხედულობისადან თავისუფალი გახლავართ. თქვენა?

ტრუდა. რა თქმა უნდა, თუ მეც შემიძლია მსოფლ მხედველობაზედ ვილაპარაკო.

განს. რატომ არ შეგიძლიანთ?

ტრუდა. მე ისე გამარტოვებით ვცხოვრობ, რომ...

განს. მართალია, მაგრამ ესეც ხომ ქვეყანაა?

ტრუდა. ადვილათ ლაპარაკობთ. თქვენ თვითონ არ იცით რამდენათ შესაშურია თქვენი მდგომარეობა.

განს. (დაჯდება სტოლთან) საქმე არც ეგრე ცუდათ უნდა იყოს. თქვენ ერთი ეს მითხარით, დიდი ხანია ასეთ ცხოვრებას ატარებთ?

ტრუდა. არა. ორი წელიწადი შკოლაში დავყავ, ჩვენის პროვინციის უმთავრეს ქალაქში, კარგი დრო იყო, ის დრო.

განს. დრო ოცნებისა და წუთიერის გატაცებულის სიყვარულისა.

ტრუდა. მაგ ნაწილში მე ძალიან ცოტა რამ მესმის.

განს. მაინც, ცოტა რამ ხომ იცით?

ტრუდა. ნამეტანი ცოტა. მაგრამ საქმე ამაში არ არის. ჩვენი გვყავდა საუკეთესო მასწავლებელი და სკოლის უფროსი. ყოველ იმის მოგონებაზე სული და გული მითბება.

განს. მასთან დამოკიდებულება ხომ არ შეგიწყვეტიათ?

ტრუდა. ის მოკვდა. ხალხმა მას სიცოცხლე ჯოჯოხეთის წამებათ გადაუქციეს. ქალაქში მის სიცოცხლის უკანასკნელს დროს ასტეხეს ყაყანი „მოწინავე ქალიაო“, „რევოლიუციონერიაო“ და კიდევ ღმერთმა უწყის რას არ ეძახდნენ. მემამულეებმა შვილები გამოიყვანეს სასწავლებლიდამ და იქაუდის მიიყვანეს საბრალო ქალი, რომ ერთ დღეს ჩაალაგა ბარგი და მოგზაურობა დაიწყო. ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა, იმისი ქალი, ჩემი ერთად ერთი მეგობარი, ციურიხის უნივერსიტეტის მსმენელია.

განს. თქვენა, თქვენ კი არ გინდოდათ სწავლის გაგრძელება?

ტრუდა. ძალიანაც მინდოდა, მაგრამ აი იმათ ჩაკლეს ჩემში ყოველივე სურვილი, გარდა ამისა მე ვგონებ არაფერი არ გამოვიდოდა, რადგანაც მე ისეთი ნიჭი არა მაქვს როგორიც აქვს ანნას.

განს. სწავლის დამთავრების შემდეგ თქვენ სულ აქა სცხოვრობთ?

ტრუდა. თითქმის წელიწადია. შემდეგ მე ვიშოვე აღმზრდელის ადგილი, მაგრამ იქ დარჩენა აუტანელი იყო. ცოლი უდიერად მეპყრობოდა, მაგრამ უფრო უდიერად მეპყრობოდა ქმარი და დაუბრუნდი სახლს. მე ძალიან შემაშინა იმან, რაც გამოვცადე.

განს. თქვენ არას დროს არ გიზიდავდათ ბრძოლა, გზის გაკვლევის სურვილი?

ტრუდა. მე... მე ჩემი თავი ყოველთვის უმწეო და საწყალი მეჩვენებოდა. მე არასდროს მახლობელი არა მყოლია და ამ პირობებში გამბედაობის ნატამალსაც კი დაკარგავდა ადამიანი. მე რომ მამაკაცი ვყოფილიყავი...

განს. ეგ ისეთი სურვილია, რომელიც ამ ბოლო დროს ძალიან იშვიათად ისმის საზოგადოებაში.

ტრუდა. ნუ თუ?

განს. დიახ. ეს საკითხი თითქმის გადაწყვეტილია. ქალები თავის თავს ჯეროვან სიმაღლეზე აყენებენ და შესაფერად აფასებენ. მგონი ამისი უფლებაცა აქვთ.

ტრუდა. მე კი...საკმაო სიამაყის უქონლობას მიკიჟინებთ არა?

განს. მაგას ვერ ვიტყვი. მე კარგათ მესმის თქვენი მოკრძალება. მაგრამ ეს საპატიო გარემოებათ მაინც არ გამოგადგებათ. არც ქალს და არც კაცს არა აქვს უფლება ჩაიხშოს მასში არსებული ძალები. რომ იცოდეთ როგორ სჭირდება ქვეყნიერებას ძალები...

ტრუდა. დიახ; ვიცი... ძალიან კარგად ვიცი.

განს. განსაკუთრებით ქალთა ძალები სჭირდება დიად საზოგადოებრივ საქმეს სიყვარულს. მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ თქვენ აქ ნახმარ სიტყვა სიყვარულში არ გულისხმობთ იმას, რასაც გულისხმობს ყმაწვილ ქალთა უმრავლესობა...

ტრუდა. სახელდობრ?

განს. გათხოვებას.

ტრუდა. რასაკვირველია არა.

განს. (დაყურებს ტრუდას ხელს) როგორც მე გავიგონე და ვხედავ კიდეც თქვენ დანიშნული უნდა იყოთ.

ტრუდა. (ინსტიკტიურად მალავს ხელს) მართალია, მარა ჯვრის წერამდის ჯერ კიდევ ბევრი დრო არის; ის ეგრე მალე არ იქმნება (სცდილობს ლაპარაკი შესცვალოს) რაზედ ვლაპარაკობდი. ჰო, მე აქ არავითარი სარგებლობა არ მომაქვს. თქვენ მართალი ბრძანეთ ჩემში ნელ-ნელ კვდება რაღაცა ძალა. თქვენ ამბობდით, რომ ქალები განსაკუთრებულ მოქმედებისათვის არიან მოწოდებულნიო.

განს. უსათუოდ... იქ სადაც დახმარება არის საჭირო—ქალები ყოველთვის მამაკაცებს სჯობიან. დახმარება კი ყველგან საჭიროა. ჩვენ—მამაკაცებს შეგვიძლია დახმარება მხოლოდ თავით. ჩვენ დაგვიტაცებს ხოლმე სტატისტიკური გამოანგარიშებანი და ღრმა ფილოსოფიური თეორიები ჭეშმარიტს და ნაყოფიერს ბრძოლას კი, სიღარიბის წინააღმდეგ, ჩვენ ვერ ვახერხებთ. მამაკაცები ნამეტან ბევრს კითხვებს აღძრავენ ხოლმე, ქალებს კი პასუხი მუდამ მზათა აქვთ ენა და ხელი მათი სწრაფათ მოქმედებენ (ხუმრობით) აი თუ გინდათ ქმრებსა ჰკითხეთ. (სერიოზულის კილოთი) ქალი უფრო მომქმედი და მგძნობიარეა. და თუ საგულისხმიერო შედეგები სასურველია, საჭიროა ეს პრაქტიკული მეცნიერება ქალის გულისა დაუკავშიროთ მამაკაცების თეორეტიულ მუშაობას.

ტრუდა. (გაშტერებული შეყურებს, ცდილობს სიტყვა არ გამოეპაროს). ჩემთან ქალებზედ არასდროს ასე არავის არ ულაპარაკია, რისთვისაც დიდათ გმადლობთ.

განს. რისთვის?

ტრუდა. იმისთვის, რომ თქვენ ამამაღლეთ მე მე ჩემს შეგნებაში, ჩემს თვალში—ვგრძნობ, რომ ჩემში იღვიძებს ის, რაც აქამდის მიძინებული იყო.

განს. განა ყოველივე ეგ მე მოვახდინე?

ტრუდა. დიახ, და კიდევ ბევრი, ბევრი რამის გაგონება მსურს თქვენგან... (შემოდის გერლოფ ვახშმით).

გამოსვლა მეორე.

გერლოფ. რა არის, ტრუდა, შენ ჯერ სუფრაც არ გაგიშლია? (ტრუდა ადგება) ნეტა რას აკეთებდი ამდონს ხანს?

განს. (ხუმრობით) ჩვენ ვმუშაობდით და იცით რაზედ? ქალების მოწოდებაზედ.

გერლოფ. (ტრუდას) იმის მაგივრათ რომ გაგეკეთებინა ის რაც საჭიროა, შენ აქ მუსაიფობდი.

ტრუდა. (გადაჭრით) ნუ სწუხარ, ძალო. მე კარგად ვიცი რაც უნდა გავაკეთო.

გერლოფ. (უყურებს ტრუდას გაკვირვებით, წასვლისას მკვახეთ) აქამდისაც საკმაოდ უკულმართი იყავი.

განს. (გულგრილად) ძალუა ძალიან ალერსიანია. მე მგონი, მაგას ჩემი ატანა არ შეუძლია.

ტრუდა. იმას არავის ატანა არ შეუძლია, ვინც კი იმაზედ ჭკვიანი ვარ?

განს. მე კი ამაზედ ჭკვიანი არის?

ტრუდა. რა თქმა უნდა.

განს. მაგისთანა აზრის გაგონება ჩემს შესახებ მიყვარს და ნიშნათ მადლობისა მინდა დაგეხმაროთ.

ტრუდა. ეს მამაკაცის საქმე არ არის.

განს. მერე რა არის. მე მომხრე ვარ საერთო, საზიარო მუშაობისა. (შველის სუფრის გადაფარებას. გერლოფ ბრუნდება).

გერლოფ. მშვენივრათაც გაგიშლიათ — მოლრეცილი. (ასწორებს სუფრას).

განს. (გულ კეთილად) მგონი ამ გზობაზედ საზიარო მუშაობა მილრეც-მოლრეციი წავიდა. მაგრამ პირველი ნახტომი თუ შემცდარი იქნება არა უშავსრა. (შემოდის ტყის მცველი).

გამოსვლა მესამე.

არენს. (იხდის) სალამო მშვიდობისა, ბატონო მეინკე.

განს. სალამო მშვიდობისა, ბატონო ტყის მცველო.

არენს. აბა, როგორ არის საქმე. ხომ კარგადა გრძნობთ თავს?

განს. კარგად, გმადლობთ. სიკვდილს კლანჭებიდამ გაუსხლტი. ხვალ გთხოვთ, როგორც სრულიად გასაღებული, გამისტუმროთ აქედამ.

არენს. რა გეჩქარება!?

განს. როგორ არის საქმე თქვენს ნაწილში?

არენს. არაუშავს. ზვავების საქმე არც ისე ცუდათ არის, როგორც მე მეგონა.

განს. სასიამოვნოა.

არენს. (ხელების ფშვნეტით) ევრე. ეხლა ცოტა გავამაგროთ ჩვენი „მე“. (დაჯდება) მობრძანდით, ბატონო მაინკე. მე დარწმუნებული ვარ ძალუა იდა გროგს მოგვიმზადებს. აწ იქნება შენ, ტრუდა? ტრუდა, ისევ შენ თორემ... შენ უფრო კეთილი ხარ.

**ვ. ხანი.**

(შემდეგი იქნება).

# ათანასე.

I.

როგორც საზოგადოთ ყველა გლეხი, ათანასე ბუბუნეშვილიც მეტათ ღარიბი იყო. ათანასე აგერ 47 წლის კაცი იქნებოდა, შესახედავათ ტანმორჩილი, შავგვრემანი და გამხდარი. მის სახეზე სევდისა და ტანჯვა ვაების მეტს ვერაფერს ვერ ამოიკითხავდით. იმისი მოგრძო და თხელი წვერი საკმაოთ გაჭაღარავებულიყო. ათანასე ისეთი ჩუმი და წყნარი კაცი იყო რომ, თავის დღეში არავის არ აწყენინებდა. ზამთრიან ზაფხულიანა მის ტანსაცმელს შეადგენდა დახეული ახალუხი, ძველი შალის შარვალი და ქალამნები. ათანასეს ცხოვრება დაბადებიდან ტანჯვა-ვაებაში მიმდინარეობდა. მშობლები მას სულ ადრე დაეხოცა. მწარე ობლობაში აღზრდილმა მან არ იცოდა რა იყო მშობლური ალერსი. თვალცრემლიანი და გულდაწყვეტილი შეჰყურებდა პატარა ათანასე თავის ტოლ-ამხანაგებს, როცა მათ მშობლები ალერსს დაუწყებდენ. მშობლების გარდაცვალების შემდეგ ის მცირედი ქონება, რომელიც ათანასეს მამამ დატოვა „აპეკუნის“ ხელში გადავიდა ერთ წელიწადში ამ „აპეკუნმა“ ერთიანათ გაანადგურა ათანასეს მამისეული, ყველაფერი მიყიდ-მოყიდა გარდა ერთი ქცევა სამოსახლის მიწისა და თავის სასარგებლოთ გაიხმარა. 20 წლამდის ობოლი ათანასე ხან ერთს და ხან მეორე შეძლებული გლეხისას და ხან აზნაუშვილისას მოჯამაგირეთ იდგა. ათანასე ისეთ მუყაითობას იჩენდა ყველა ნაირ ოჯახურ საქმეებში რომ, მას ყველა სიამოვნებით იყვანდა მოჯამაგირეთ და მცირე ჯამაგირით შეუბრალებლათ დღიან-ღამიანა ამუშავებდენ. ამ რიგათ ათანასემ როგორც იყო ერთ ხუთმეტ თუმანს შეუყარა თავი, 20 წლისამ მიატოვა მოჯამაგირეობა, იყიდა პატარა ლამაზი სამზარეულო სახლი და საკუთარი კერა გაიჩინა. ცოტა ხანს უკან მან ცოლიც შეირთო და შვილებიც გაუჩნდა. ათანასეს ცოლი, მართა ქმარის მოყვარული და მშრომელი დედაკაცი იყო, მისი მოსვენება არ შეიძლებოდა, ქმარს ყველაფერში შველოდა. ქმარიც ხედავდა ცოლის ამ გვარ ერთგულებას და უხაროდა რომ ასეთი თანამგრძნობი ამხანაგი „შეხვდა“.

„მართა, რა მეშველებოდა მე, შენ რომ არ შემხვედროდიო“. — ხშირათ ეტყოდა ათანასე ცოლს, როცა მას საკაცო საქმეზედაც დაინახავდა.

„რა გეშველებოდა და იგი ავერ; კაცები ქალების მეტს რას იშონით, უბედურმა ქალებმა უნდა იკითხონ თვარა“. ხუმრობის კილოთი ეტყოდა მართა ქმარს და საქმეს უფრო ხალისიანათ მოჰკიდებდა ხელს.

ათანასეს ეხლა ულლათ ხარებიც ყავდა და ეს გარემოება კიდევ უფრო უადვილებდა მას თავის რჩენას, მაგრამ დიდხანს აღარ გაგძელდა ათანასეს ამ გვარი ცხოვრება. ერთ საღამოს, როცა ის სამუშაოდან სახლში დაბრუნდა მართა ლოგინში დახვდა ჩაწოლილი და მწარეთ კვნესოდა. ათანასეს თავზარი დაეცა; მას არასოდეს არ ახსოვდა ცოლის ავადმყოფობა და ეხლა ძალიან შეეშინა.

— რა ამბავია, რა დაგემართა აგი; რა ღმერთი მიწყრება!..—სასოწარკვეთილი ხმით წამოიძახა მან, ნაჯახი უგულოთ გვერდზე მიაგდო და ცოლს თავთან მოუჯდა.

—რაცხაა მკლავს გონია მარა... შენ მაინც ნუ შეგეშინება... ეგება არ მოგვიძულოს ღიერთმა...

მითხარი, რაფერ ხარ რავა, დღეს დილას კარგათ დაგტიე და...

— რაცხამ მთელი ძვლები დამანტვრია... გასაქანს აღარ მაძლევს... ეუბნებიდა მართა ძლივს ძლივობით ქმარს და მწარეთ კვნესოდა. ათანასე წავიდა ხელათ და ფერშალი მოიყვანა. ფერშალმა დაიმედა ათანასე: „არა უშავს ქარებია, გაივლისო“ და რაღაც წამლ ები გამოუწერა. ათანასეს იმედი მოეცა. ერთი კვირის შემდეგ ტკივილებმა მართლაც უკლეს მართას, მაგრამ ლოგინიდან მაინც ვერ დგებოდა; მთელი ძარღვები დაჭერილი ქონდა. ის საშინლათ გახდა და გაყვითლდა. ათანასეს გული უკვდებოდა, რომ ამ გვარ მდგომარეობაში ხედავდა ცოლს, რომელიც მისი მარჯვენა ხელი იყო, ებრალებოდა და ჩუმ ჩუმათ ცხარე ცრემლებს ღვრიდა, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა. ის არავითარი ხარჯის წინ არ იხევდა და სცთილობდა როგორმე თავისი მართა ფეხზე დაეყენებია. საშინლათ დავალიანდა. გაყიდა ხარები, სახლიც, მოლობა ფაცხა, შელესა და ცოლშვილით იქ დაბინავდა. მარიას კი მაინც არაფერი ეშველა, ის მუდამ იწვა და ძვლებს იტკივებდა: ხან და ხან მხოლოთ დიდი ვაივაგლახით ცეცხლის პირას ჩამოჩოჩთებოდა; არავითარი საქმის გაკეთება მას აღარ შეეძლო. აი ამ დღიდან იწყება ათანასეს ნამდვილი წამება. მთელი ოჯახური საქმეები, საქალოცა და საკაცოც მას დააწვა თავზე; ის ეხლა საჭმელსაც თაეისი ხელით აკეთებდა. სამუშიერათ როცა წავიდოდა თავისი ხელით გაკეთებული ცივი საგზალი თან მიჰქონდა. ძალიანს უწყობდა ხელს ათანასეს ერთი გულკეთილი მოხუცი ქალი სახელათ მარიკა. როცა ათანასეს სადმე რამოდენიმე დღით მოუხდებოდა წასვლა, ან ღამით შინ არ დარჩებოდა, ის მაშინ სთხოვდა მარიკას და მართასთან ტოვებდა.

— „კი ვაჯო, კი!.. ამაზე რავა გეტყვი ვარს შენ საცოდავო, სხვაი აფერი შემიძლია თვარა“ — ეტყოდა მარიკა ათანასეს, დაიბჯენდა ჯოხს და გამოჰყვებოდა. ხანდახან ათანასე საჭმელსაც ამ მოხუცებულს აკეთებიებდა.

— ბიცოლა, მე რომ დაგივიწყო, ღმერთი მაინც არ დაგივიწყებს იმ სიკეთეს, რომელსაც შენ მე მიშობი,—ხშირათ ეტყოდა ათანასე მარიკას.

ათანასეს ტანჯვამ ერთი ათათ იმატა. სხვა უბედურებასთან ერთად ათანასეს სხვაზე უფრო ის გარემოებაც კი სტანჯავდა რომ, ის როგორც ჩუმი და წყნარი ადამიანი სოფლის მოხელეებს დაჯაბნებული ჰყავდათ. გამოჩნდებოდა თუ არა სადმე საყალაურო, ან სხვა რამე შავი სამუშიერი, იმ წამსვე ათანასეს მოაშურებდენ. მას ყოველთვის ძალლივით ათრევდენ; ხშირათ სამუშაოდან მიყავდათ. ათანასე უარის თქმას ვერ ბედავდა, რადგანაც იცოდა, რომ ამისთვის მას სასტიკათ დასჯიდენ. აუტანელმა შრომამ, ფიქრმა და დარდმა ათანასეს თავისი კვალი დააჩინეს: ის ადრე მოიქანცა, მოტყდა, თვალები ჩაუღრმავდა და სახე დაეღარა. მის გულში მუდამ მწარე სევდა-ნაღველი გამოიყურებოდა, მაგრამ ერთხელაც ვისმესთვის არ შეუჩივლია, არ გაუზიარებია თავისი ნაღველი, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ მის მწვავე წყლულებს ვერავინ ვერ დასდებდა მალამოს და ამიტომ ისიც ჩუმათ, უსიტყვოთ განაგრძობდა ბრძოლას თავის უმწეო მდგომარეობასთან.

II.

სასტიკი და ხანგრძლივი ზამთრობის შემდეგ სოფ. ხევის მცხოვრებლები როგორ იყო ელირსენ გაზაფხულს და საყანე მიწების ხვნა-თესვას შეუდგენ. ათანასეს საკუთარი სახნავ-სათესი მიწა არ გააჩნდა გარდა ერთი ქცევა მწირი ეზოისა. ამიტომ მას ერთ ადგილობრივ თავადის ქვრივიდან სამესამედოთ ჰქონდა აღებული ორი ქცევა მიწა. ხსენებული ქვრივი ყოველ წელიწადს ემუქრებოდა ათანასეს:

—თუ თავის დროზე არ დათეს და კარგ ნამუშიერს არ მოიყვან, მიწას სხვას გადავცემო“. ათანასეს ეშინოდა მართლაც არ მიშოვნოს მიზეზიო და სცდილობდა რაც შეიძლება ადრე დაეთესა, მაგრამ ხარის უყოლობა საქმეს უჭირვებდა. მან ეხლა დაამზადა მიწა დასათესავათ, გამობრუნდა და ხარების ძებნას შეუდგა.

მიიარ-მოიარა მეზობლები, მაგრამ ყველამ ვარი უთხრა.

— რა ვქნა ათანასე, შენ ხარები რავა დაგეკავება, მარა ამ კვირეში ქე მჭირია ძამია, და ისე

გადაღმა კვირეში ვნახოთ,—ეუბნებოდენ მეზობლები ათანასეს და თან უმატებდენ: „ა კაცო, აგერ მიდი გრიგოლასთან ან ლუკაიასთან და ისინი გათხოვებენო“. ათანასე ახლა სხვაგან გარბოდა, მაგრამ სხვებიც ასე ეუბნებოდენ:

„აგია ძმაო, ხვალე მე თითონ უნდა გავაგდო კეკალი და ამ კვირეში არ ეცლებაო“.—ათანასეს კი გადაღმა კვირამდე მოცდა არ შეეძლო.

— დევიდუპე კაცი!.. იგი თუ ამ კვირეში არ ჩავთესე ნამდვილათ წამართმევს იგი როკაპი დედაკაცი“,—მწარეთ გაიფიქრა მან გულში და ბოლოს ერთ ადგილობრივ თავის გვარის კაცს, ეგნატე ღვდელს მიაშურა, რომელიც ათანასეს ხშირათ ამუშავებდა ხან ერთ ფუთ სიმინდში, ხან რაღაც ნამსახურევში და ხან სულ ტყუილათ, რადგანაც დაპირდებოდა რამეს და აღარ მისცემდა; გაუხსენებდა რაღაცა ძველის-ძველს, გამოუქვითავდა შიგ და გულმოკლულს შინისაკენ გაუშვებდა. ეგნატე სოფლის იმ ძველ ხუცებს ეკუთვნოდა, რომლებმაც ხუცური წაკითხვის მეტი არაფერი იციან.

— მამაო ეგნატე, მაშველე შენი ჭირიმე, მათხოვე ამ ორ დღეს შენი ხარები და მერე დაგეწინდრები თუ გინდა!—შეევედრა ათანასე ეგნატეს.

— რა ხარებიაო, ბიჭო, შენ მუდამ რომ დაწანწალობ და აღარ გეშველა!.. რავა სულ თხოვნა და ღირლიტი გაგიგონია?!—რიხიანათ უთხრა ჩასუქებულმა ეგნატემ ათანასეს და დაუმატა.— რავა, დაბერდი აგერ და ერთი უღელი მოზვრები ვერ იყიდე შენ?... ამდენხანს კიდევაც მეიძევდა კაცი რომ მიენდომებია.

— ეგნატე! ხომ კი იცი შენ ჩემი ამბავი, რა დღეი მადგანა! მოზვრებს რეით ვიყიდდი,—ნაღვლიანათ ჩაილაპარაკა ათანასემ და მწარეთ ამოიგმინა.

— რა დღეი გადგანა, რავა ყურს არ გაკლია და თვალს და!.. ჩოფანო ხართ ბიძია ყველე, ჩოფანო, ჩემი სახლის კაცები! ვერც ერთმა ვერ ქენით სიკეთე... ყველა ზარმაცები ხართ!..

— ეგნატე, კი იცი შენ მე თუ ზარმაცი ვარ... ფრთხილათ ეუბნებოდა ათანასე ღვდელს რადგანაც ეშინოდა: ვაი თუ გული მოვაყვანიო და ვარი მითხრასო.

— ზარმაცი თუ არ ხარ წამოდი ჩემთან!—ამ სიტყვებზე ეგნატემ მოჰკიდა ათანასეს მკლავში ხელი და მახლობელ წისქვილის სათავანთან მიიყვანა. —აგი წისქვილი ხომ იცი შენ რა ძვირფასია ჩემდა?.. ეუბნებოდა ის ათანასეს, თითქო აქ მისთვისაც რაიმე სასარგებლო იყოსო.—ამას წელიწადში უკანასკნელი ათასი მანეთი შამუაქ; ხომ ხედავ წყალს რავა დაუნგრევია?.. ა, წკნელი და ა, სარი! ჩადექი შით, იმუშავე დღეს და ხვალ და, ზეგ ხარებს გათხუებ!—ათანასე მწარეთ დაფიქრთა; არ იცოდა როგორ მოქცეულიყო თან აღარც სხვაგან ხარების შოვის იმედი ჰქონდა.

— ა, მამაო, მერე ვიმუშავებ ამას და ახლა მათხუე ხარები.—სცადა ათანასემ დალაპარაკება, მაგრამ ეგნატე ცივ ვარზე იდგა.

— რავა, მე რასაც ვიტყვი ხომ იცი შენ რომ მე იმას აღარ ჩავთქვამ!.. თუ გინდა ქე ქენი აგი ახლა ასე!.. მე შენი გულობიზა თვარა, მამა ნუ წაგიწყდება, სხვაი რომ იყოს უკანასკნელ, ხუთ მანათს მაინც დავაკერჭვლიებ!.. ჩემი ხარები ხომ იცი შენ რაფერია!.. გირგოლეს და ლუკაიეს ვირთხები არ გეგონოს?!.

მეტი გზა არ იყო, ათანასე უნდა დათანხმებულიყო. „ორი დღეი კიდევ ქე მრჩება და ამ ხარებით მართლაც ქე მოუასწრა ეგება თლათ დათესვა,“ —გაიფიქრა მან, ჩამოჯდა ქვაზე და ქალამნები გაიხადა.—ეგნატე, გამიგზავნე ქე მაინც ვინცხა შინ, შეატყობიოს იმ უბედურს რომ მე აქანე ვარ და საღამოს ქე მოუა-თქვა,—უთხრა მან ეგნატეს, ჩადგა წყალში და მუშაობას შეუდგა.

— კი, კი!.. ნუ გეშინია შენ!—უპასუხა ეგნატემ, კმაყოფილებით ჩაახველა და სახხლისკენ გაბრუნდა.

ამ გვარათ ორ დღეს იმუშავა ათანასემ ეგნატე ხუცის წისქვილის სათავანში. მეორე დღეს, საღამოს ის შეეხვეწა ეგნატეს:

— თუ სიკეთეს მიშობი ბარაღმე ამეღამ გამატანე ხარები, რომ დილას ხელმეორეთ მოსვლა აღარ დამჭირდესო.

ცოტა ყოყმანის შემდეგ ეგნატე დათანხმდა.

— წეიყვანე მარა, კარგათ მიჭმიე იცოდე,— გააფრთხილა მან ათანასე და ხარებისაკენ წავიდა.

— მამაო, ეზოში გუუშობ და ოქროსავით ღომის ჩალას დუუყრი და სხვაი რა ვქნა ახლა; მადლობა ღმერთს, პირუტყვის მოვლა ახლა არ მისწავლია... ერთხელ ქე მყავდა მე უბედურსაც, რომ ღმერთი არ გამწყრომოდა და არ გევეწირე... —ამბობდა გულდაწყვეტილი ათანასე და ხარებს რქაზე ბაწარს აბამდა.

საშინლათ დაღლილმა ათანასემ მიიყვანა ხარები შინ, გაუშვა ეზოში, დაუყარა ჩალა და დილისათვის საგზლის მომზადებას შეუდგა. მეორე დღეს ადრე გამოაღვიძა თავისი 11 წლის ვაჟი ხარდიონი, გადაადო ხარებს კავი და საიუშიერათ გაემგზავრა.

**ანათეძე.**

(შემდეგი იქნება).

# ქუჩის გოგოს ნაამბობი

(დღიურიდან).

(გაგრძელება. იხ. „სალ.“ № 18).

მეორე დღეს მე დანიშნულ ალაგას მოვედი და ზარი ჩამოვრეკე.

Твой ишто нада?—შემეკითხა მეეზოვე კარის გაღების თანავე და საკინძე გაისწორა.

— მეც ვუთხარი ვისთანაც ვიყავი მოსული.

— აი! იქ მოდი და კარებს დააკაკუნე—მიმითითა მარჯვნივ პატარა ოთახის კარებისკენ, და უკმაყოფილოდ ამხედ-დამხედა.

მეც ისე მოვიქეცი, როგორც მეეზოვემ მითხრა, კართან ახლოს მივედი და მინდოდა დამეკაკუნებია, რომ ამდროს კარი გაიღო, და ჩემი ნაცნობი ქალი გარედ გამოვიდა.

— გმადლობთ რომ გვინახულეთ—მითხრა მხიარული კილოთი მან. ხელი მომკიდა, და სახლში შემიყვანა,—აჰა...ეს გახლავს ჩემი „კაბინეტი“...დაბრძანდით.

ოთახი ვიწრო და გრძელი იყო. იატაკი მიწის სისწორეზე ქონდა გაკებული და მეტი სიძველისაგან აქა იქ ჩამტვრეული იყო.

— თუ თქვენი ნება იქნება სამოვარს დავადგამ ცოტა ჩაი მაინც დავლიოთ—მითხრა სიჩუმის შემდეგ მასპინძელმა.

— არა, მე არაფერი არ მინდა. მე იმ განზრახვით არ მოვსულვარ თქვენთან, რომ ჩემთვის რამეზედ თავი შეიწუხო. მე მხოლოდ მაინტერესებდა თქვენი თავგადასავალის გაგება, თუ არ დაიზარებთ და მიამბობთ ყოველივეს რაც თქვენ გამოგივლიათ. მე დიდად მადლობელი ვიქნები.

— განა ჩემზე უარესი სხვას ვისმეს გადახედია თავზედ?

— რა უყოთ!!. დღეს ცხოვრება ასეა მოწყობილი, ზოგის ბედნიერია, ზოგის უბედური.

— განა ღირს კი ჩემი სიცოცხლე ქვეყანაზე?

— არა უშავს, ჯერ თქვენ კიდევ ახალგაზრდა ართ და თუ კი გულს არ გაიტეხთ და სასოწარკვეთილებას არ მიეცემით, კიდევ შეიძლება თქვენი ამ მდგომარეობიდან ცოტათი მაინც თავის დახწევა.

— არა... ჩემო კეთილო ამ გარყვნილების მორევიდან ჩემი ამოყვანა არავითარ სასწაულს არ შეუძლია. მე თქვენგან უსაზღვრო მადლობელი ვარ, რომ შედიხართ ჩემ მდგომარეობაში და მზათ ხართ დამიხსნათ. ჩემს ცხოვრებაში გულშემატკივარი ადამიანი მხოლოდ ორი და მპოვნია. პირველზედ მერე მოგახსენებთ ისიც ქართველი იყო და მეორე კი აი თქვენა ხართ, მე რა სამაგიერო პატივი უნდა გცეთ. ვეცდები, კი, შეძლების დაგვარათ შევასრულო თქვენი სურვილი და თუ მთლად არა, ცოტათი მაინც გაგაცნოთ ჩემი ცხოვრება, მე მზათ ვარ ყოველივე ვაღიარო თქვენს წინაშე, უკანასკნელად ასე როგორც მომაკვდავი აღიარებს ცოდვებს თავის მოძღვართან.—აქ ცოტა შეჩერდა კავები გაისწორე მაგიდასთან ახლო მიიწია. მარჯვენა ნიდაყვზე დაეყრდნო და დაიწყო:

— მე ვარ შვილი პოლკოვნიკ გრიგორ, გრიგორიჩი მაკაროვისა, რომელიც მსახურებდა ა-ს II გრენადერის პოლკ'ში. ქალაქ მოსკოვში. დედა ჩემი და ორი ძმა ვცხოვრობდით ჩვენ სამშობლო ქალაქ ყაზანში, უფროსი ძმა საშკა უნივერსიტეტში იყო მედიკურ ფაკულტეტზე. უნცროსი, სერიოჟა რეალურ სასწავლებელში სწავლობდა. მეც გათავებული მქონდა გიმნაზია და კურსებზე დავდიოდი.

ზაფხულობით ყოველთვის მამაჩემი სახლში მოდიოდა ხან ერთი თვით, ხან ორით. ჩემს ძმებზე უფრო მამაჩემს მე ვუყვარდი. როდესაც მოსკოვიდას სახლში დაბრუნდებოდა პირველათ გადამეხვოდა, მკოცნიდა გაუთავებელი სიყვარულით. როდესაც გულს მოიჯერებდა ამოიღებდა ჯიბიდან მუჭით ოქროს ფულს და კალთაში ჩამიყრიდა.

— აჰა... შვილო... დახარჯე, დრო გაატარე, ბალებზე, ვეჩერებზე—აბა რა საჭირო იყო მაშინ ფული? აუარებელი სიმდიდრე ხელს გვიწყობდა, რასაც გულში კი გავივლებდი ყველაფერს ვისრულებდი, გვქონდა საკუთარი ორსართულიანი სახლი, საკუთარი ეტლი და რა ვიცი რამდენი სხვა. ბალებზე და ვეჩერებზე არ მიყვარდა წასვლა, რადგანც კარგად ვიცოდი იქ გარყვნილებას გარდა არაფერი სასიამოვნო არ ხდებოდა. მხოლოდ ჩემი გასართობი საგანი იყო მარტო წიგნის კითხვა. სურვილი უმაღლეს განათლების. და თუ კი რამ საინტერესო დრამა იქნებოდა დრო გამოშვებით თეატრშიც დავდიოდი. უფრო კი ჩემი გული და გონება სწავლისკენ იყო მიმართული, რომლის დამთავრებას ისე აღტაცებით ველოდებოდი როგორც პატარა ბავშვი ელოდება აღდგომის წითელ კვერცხს. პირველად როცა მამაჩემი ფულებს მომაწოდებდა საჩუქრად ვარს ვეტყოდი, რაზედაც მამაჩემს უკმაყოფილებას ვამჩნევდი სახეზე.

მერე კი უფრო სხავა ნაირ მოსაზრებას დავადექი. ვიფიქრე აუარებელი ღარიბი სტუდენტებია, რომლებიც უსაღსრობის გამო დიდ გაჭივრებას განიცდიან. მამაჩემი მაინც ვერაფერს გამიგებს და მისი ნაჩუქარი ფულებით სტუდენტებს დახმარებას

გაუწევ მეთქი. მას შემდეგ კი მამაჩემი რომ ფულებს მომიტანდა მხიარულად გამოვარ მევდი, ისიც ამიყვანდა დამისვამდა მუხლზე და მკოცნიდა.

III

ერთმა სტუდენს, რომელსაც უსახსრობის გამო მთელი წლით სწავლა შეეწყვიტა, რა გაიგო ასეთ ქველმოქმედებას ჩავდიოდი, ერთ საღამოს სასწავლებლიდან სახლში რომ მოვდიოდი გზაზე შემხვდა და თხოვნით მომმართა.

— ნატალია გრიგორიევნა! მე გავიგე რომ ღარიბ სტუდენტებს დახმარებას უწევთ და თუ რამ სალსარს გამომიძებნით და ცოტა საშვალებას მომცემთ სწავლა განვაგრძო, თქვენ იქნებით ჩემთვის ზეცით მოვლინებული სასწაულთ მომქმედი ძალა. ეს ერთი წელია უსახსრობის გამო სწავლა შევსწყვიტე, მინდოდა სადმე სამსახურში შევსულიყავი, ცოტა ფული მომეგროვებია. და მერე სწავლა განმეგრძო, მაგრამ საუბედუროდ ჩემდა ვერსად საქმე ვერ ვიშოვე, დრო მიდის, მეკი საქმეს ვშორდები და თანდათან უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები. თუ ამომიყვანთ ამ კრიტიკულ მდგომარეობიდან თქვენ თორემ, მოსალოდნელია თავი გავიფუჭო.

ის იყო უბრალო მეწაღის გიორგი ნაუმოვის შვილი ტამბოვის გუბერნიიდან. მაგრამ მას ჩვენ ქალაქ ოცზანში სახელოსნო ქოდა და იქ ცხოვრობდა. დიდის ვაი-ვაგლახით როგორც იყო მამამ შვილი გიმნაზიაში მიაღეაინა და რადგანც უკანასკნელმა კარგი ნიჭი გამოიჩინა, სწავლის ფულიდან გაანთავისუფლეს. გათავებისას ოქროს მედალით დააჯილდოვეს და სტიპენდია დაუნიშნეს, რომლის საშუალებითაც უნივერსიტეტში შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე. ერთი წლის შემდეგ არეულობაში მონაწილეობის მიღებისათვის სტიპენდია მოუსპეს. რადგან მას ნივთიერი მდგომარეობა ხელს არ უწყობდა ამიტომ იძულებული შეიქნა სწავლისთვის თავი დაენებებია და სხვა საშუალება გამოენახა. ორი თვის ცუდაობის შემდეგ სახალხო სკოლის მასწავლებლად შევიდა სადაც მან ორი წელიწადი იმსახურა, მერე კი როცა ცოტა ფული მოაგროვა ისევ განაგრძო სწავლა. როგორც იყო, გაათავა მეორე კუსიც, მაგრამ კიდევ ფული შემოაკლდა და ხელ-ახლა სწავლა შესწყვიტა. რაც იყო იყო, ამაზე ბევრს არას ვიტყვი. ძალიან იშვიათად შეხვდებით ისეთ პატიოსან ადამიანს როგორიც ის იყო.

— პირველადვე მისი ნახვით რაღაც უხილავმა ძალამ შეიპყრო ჩემი გონება. რაც დრო გადიოდა, თანდათან ღვივდებოდა ჩემ გულში სიყვარულის ნაპერწკალი, მუდამ განუშორებლათ მედგა თვალწინ მისი სიმპატიური სახე და ყურში ჩამძახოდა მისი თხოვნა მუდარა, მისი ცოდვით ვიტანჯებოდი, მისი სასოწარკვეთილური სიტყვები გულს მიღრღნიდა და აღარ ვიცოდი რა მექნა. თუმცა მქოდა მამაჩემის მოცემული ფულიდან კიდევ ას-ოც მანეთამდე, მაგრამ ეს მხოლოთ წვეთი იყო ზღვაში. ამიტომ რაღაც სხვა წყარო უნდა გამომენახა, ავდექი მდიდარი ნათლია მყავდა, რომელმაც კარგი სწავლისთვის ერთი პიანინო მაჩუქა და მასთან წავედი, ნათლია ჩემს ვერაფერი გაუბედე და მის ცოლს, ანტონინა პეტროვნას, ვთხოვე ხუთი თუმანი ესესხებია.

— რა გაჭივრება გადგია ისეთი მე რომ ფულს მთხოვ? განა დედაშენს ცოტა აქ ფული? მაგრამ შენ ისეთ რამეზე გინდა ფული დედას არც კი შეგიძლია გაუმჟღავნო. მე ყველაფერი ვიცი. ვიღაც ღარიბ სტუდენტებს დახმარებას უწევ და აი სწორედ იმიტომ იწუხებ თავს. შინაურ საქმისთვის რომ გინდოდეს ხუთი თუმანი კი არა მეტიც იყოს და ასეთ უბრალო რამეზედ არაფრის მოცემა არ შემიძლია. რა შენი საქმეა იმათი აყოლა. მე მირჩევია შენთვის თავი დაანებე მაგ სისულელეს, თორემ სულ დაფარული არ იქნება ეხლა თითქმის ყველამ იცის და მალე შენი მშობლებიც გაიგებს, ბოლოს კი გეწყინება მარა გვიან იქნება.

— მისმა ასეთმა პასუხმა თავზარი დამცა, რაღა უნდა მეთქვა. ვხედავდი საქმე ისეთ ადამიანთან მქონდა, რომ ვერაფერს გავაწყობდი და იძულებული შევიქენი სახლში გამოვბრუნებულიყავი და სხვა გზა გამომენახა.

გადავწყვიტე; ამხანაგებისთვის მიმემართა და ცოტა ფული მომეგროვებია, რაც ჩემი აზრი ფუჭი არ გამოდგა და სამი კვირის განმავლობაში ოთხმოც მანეთამდი ფული მოვაგროვე და გრიშას გადავეცი. მან აღტაცებით ჩამომართვა და მითხრა: მინამ პირში სული მიდგია თქვენი პატივის ცემა ჩემდამი მარადის დაუვიწყარი იქნებაო.

მას შემდეგ განვლო ორმა წელმა და მე თუ მისი სიყვარული მქონდა მან არ იცოდა, როდესაც ერთმანეთს შევხვდებოდით, ხშირად ჩამოვაგდებდი ლაპარაკს იმ საგნებზე, რომლითაც მინდოდა გამომეწვია რომ ჩემთვის მას სიყვარული ახსნა. მაგრამ რით იყო არ ვიცი ვერაფერს მიბედავდა. მე კი თითონ ვერაფერი გაუცხადე და ასე ჩემ გულში სიყვარული თანდათან ძლიერდებოდა და მოსვენებას არ მაძლევდა.

ბოლოს რა, გზა იყო? დავწერე ბარათი მოვათავსე ყოველი ჩემი გულის პასუხები შიგა და გაუგზავნე!

მეორე დღეს მივიღე პასუხი, რომელშიაც მწერდა: მე დიდი ბედნიერი ვარ, რომ თქვენი სიყვარულის ღირსი გავხდი. მე ვერ შევრიგებივარ იმ აზრს, რომ თქვენ გიყვარივარ. ეს ჩემთვის აუწერელი ბედნიერება იქნება, მაგრამ უბედურება ის არის: თქვენი მშობლები, როგორც მაღალი წრის ხალხი, ნებას არ მოგცემენ რომ ჩემზე ჯვარი დაიწეროთ. ბევრ რამეებს მწერდა, მაგრამ ეხლა როგორ შემიძლია მოვიგონო, სულ ყველა.

იმ დღეს შემდეგ ხშირად გვქონდა ერთი მეორეში მოწერ-მოწერა და ის ყოველთვის თავისას მეუბნებოდა —ყოვლად შეუძლებელია ჩვენი შეერთება.— მე ვერ წარმომედგინა, თუ კი მოვინდომებდი რომ ვინმე წინ გადამეღობებოდა. რა ადგილი ქონდა აქ ან მაღალ წრეს, ან დაბალს. კაცი უმაღლეს სასწავლებელს ათავებდა და განა არ იქნებოდა ჩემი შერთვის ღირსი?..

განა შეიძლება დაბოლოვდეს იქ ბედნიერათ სიყვარული, სადაც ადამიანის პიროვნება დამცირებულია? სადაც დედკაცის უფლება გათელილია და მის ბედს სხვები განაგებს. ასეთ საზოგადოებაში რა გასაკვირია სიყვარულს სასურველი ბოლო არ მიეცეს?

V

რა რომ დედა ჩემმა გაიგო ჩემი გადაწყვეტილება, მას ნერვები აეშალა და ცახცახი დააწყებინა.

— რა მოგივიდა დედა, რა დაგემართა? გაოცებული შევეკითხე მე.

— ის შვილო, რომ სულ არ გამჩენოდი ასჯერ უკეთესი იყო. მანამ დედაშენს სული ამოსძვრეს სანამ შენ ვიღაც მეწვლის შვილს წაყობოდე. არა... ყოვლად შეუძლებელია... მე შენთვის კარგი ქმარი მყავს გამორჩეული და პირობაც მიცემული მაქვს...

— ძალიანი დაგიშავებია, პირობა რომ მიგიცია მე ვერ დამეკითხე?.. მინდოდა თუ არა ის ვინც შენ აგირჩევია! მე ვინც მიყვარს იმას უნდა წავყვე და არავის უფლება არა აქვს დამიშალოს.

— როგორ თუ არა აქვს? შენ ჩემი შვილი ხარ და თუ ჩემ ურჩობას გაბედავ სრული ნება მაქვს ჩამოგახრჩო კიდეც. ხომ გესმის? ჰმ, ეხლა ერთი ჰკითხეთ ამას, პატიოსანი კაცისთვის სიტყვა მიმიცია და ეხლა ხომ თავი მომეჭრა, რომ სიტყვა გავტეხო?!

— სიტყვა შენ მიგიცია იმ პატიოსანი კაცისთვის და არა მე და თუ ძალიან გაწუხებს სიტყვის გატეხა, თავისუფლად შეგიძლიათ ინებოთ და გაჰყვეთ.

— რას ბედავ შე ძაღლის ლეკვო? რას მიქვია შენი ასეთი თავხედობა? მაშ, შენი უნდა სჯობდეს ჩემსას?...გამაწყვეტია გაჯავრებულმა.

— მე ვისთვისაც სიტყვა მიმიცია მას ვერ ვუღალატებ, იმ ერთსგარდა ჩემი ქმარი მიწა იქნება. —ცივათ ვუთხარი მე.

— ხმა გაიკმინდე ნუ ურჩობ. მოთმინებიდან ნუ გამომიყვან, თორემ?! — დამიყვირა გაბოროტებულმა დედაჩემმა და საპირფარეშო ოთახში გავიდა.

მისმა ასეთმა ქცევამ თავზარი დამცა, არ ვიცოდი რა მექნა.

დიდხანს ვიჯექი დაღონებული. ბევრი რამ ვიფიქრე, მაგრამ ვერაფერ დასკვნას დავადექი. როგორ უნდა მოვქცეულიყავ? მამაჩემს დედაჩემი როგორც უნდოდა ისე ათამაშებდა და რა თქმა უნდა ისიც ჩემს წინააღმდეგ წავიდოდა.

ამ დღიდან დედაჩემი გაგებუტა და ხმას აღარ მცემდა... დიდი ხანი არ გასულა, რომ მამაჩემიც მოვიდა. დედა ჩემმა ჩემი გადაწყვეტილება მამა ჩემს მოსვლის უმალვე ახარა.

— მე მაგისთვის კარგი მინდა და თუ არ უნდა თავი ქვისთვის უხლიაო—სთქვა მამა ჩემმა.

— რას ამბობ, გრიგორ გრიგორიჩ. ვიღაც მეწვლისშვილს როგორ მივცემ ჩემი წვითა და დაგვით გამოზრდილ შვილს?!

— არა უშავს, მაგას მე მოვიყვან ჭკუაზე. ცოტახანს შემდეგ მოლბება და ყველაფერი შეიძლება.—გააწყვეტია ლაპარაკი დედაჩემს.

მამა ჩემი იმ ღამეს გაჯავრებული იყო, ჩვეულებრივად არ მომსალმებია. მარა მაინც ვფიქრობდი დედაჩემია გულქვა ადამიანი, თორემ მამაჩემს როგორმე შეიძლება თავი შევაბრალო და დავითანხმო მეთქი.

ივანშმეს, მე ვანშამზე უარი ვსთქვი. შავი ფიქრებით გარემოცული აუტანელ ტანჯვას ვგრძნობდი. მეტი მძიმე და აუწერელი იყო ჩემი მდგომარეობა.

გათენდა კვირა დილა. უძილობისგან თავი საშინლად დამმძიმებოდა, ყველანი მხიარულობდენ. სადღესასწაულოთ მორთული ქალი და კაცი სიცილ-კისკისით სადღაც მიეშურებოდენ.

დედა ჩემი სიცილ-კისკისით გარეთ გამოვიდა, მამაჩემს იღლიაში ხელი გამოდო. ორივენი ეტლში ჩაჯდენ და სადღაც წავიდენ. თუმცა მამაჩემმა მითხრა, მათთან ერთად მეც წავსულიყავი, მაგრამ რარომ უარი ვუთხარი მასაც ძალა აღარ დაუტანებია. ჩემი ძმებიც ვიღაცასთან დაპატიჟებული ყოფილიყვენ და იქ წავიდენ. მე კი დავრჩი მარტო ერთი მოსამსახურე ქალის ამარა. ნაშუადღევის ოთხი საათი იყო მამაჩემი და დედაჩემი სახლში მოვიდენ.

მამაჩემს თეატრის ბილეთები ეყიდა. მხიარული სახით მოვიდა ჩემთან და დაღვრემის მიზეზი მკითხა, მარა მე პასუხი არ გავეცი.

— რას დაფიქრებულხარ შვილო? აი თეატრის ბილეთები მოვიტანე. ამაღამ თეატრი წავიდეთ იქ ვინმე ნაცნობებს შეხვდები, გაივლი გამოივლი და გამხიარულდები. ვითომ ასე ჩქარა რა გინდა რომ გააკეთო? ცოტა მოითმინე და ქვეყანაზე გუუკეთებელი არაფერი არ არის.

— მამაჩემის ასეთმა სიტყვებმა ცოცა არ იყოს მხნეობა მომიმატა და თავი მაღლა ავსწიე. თეატრის ბილეთები მაინცა და მაინც ბევრად არ მაინტერესებდა, მხოლოდ მისი ლაპარაკიდან ის დასკვნა გამოვიყვანე, რომ ვიფიქრე შევებრალე და შედის ჩემს მდგომარეობაში მეთქი.

მეშვიდე საათმა დაჰკრა. დედა ჩემი მორთვას შეუდგა. მამა ჩემმაც ჩაიცვა ტანზე.

— შენ რას უყურებ ნატაშა, რატომ ტანზე არ იცვამ?

— მე უქეიფოთ ვარ მამა იქ წამოსვლა არ შემიძლია,—ნაღვლიანათ ვუთხარი მე.

— შენ იცი შვილო... თუ არ გინდა ძალას ვინ გატანს?—ეს მითხრა, ჯიბიდან ვერცხლის პაპიროსის ყუთი ამოიღო და პაპიროსს მოუკიდა. ამ ხანში ეტლიც მოადგა კარებს, ორივე ჩასხდნენ და გაექანენ.

დავრჩი მარტოკა და ჩვეულებრივ ფიქრებმა გამიტაცა. მამაჩემს გული მოულბა, ალბად შევებრალე. ამეღამ რაღა იქნება, ხვალ კი, ჩაუვარდები ფეხებში და მამა ჩემს იმდენი გულკეთილობა კი შესწევს, რომ ხათრს არ გამიტეხს და ჩემ განზრახვაზე დამეთანხმება.—ამ ოცნებით დაიმედებული ავდექი, გამოვიღე უჯრიდან ერთი რომანი, ჩავჯექი სავარძელში და კითხვა დავიწყე. მაგრამ წინა ღამის უძინარს მალე ძილი მომერია. წიგნი გვერზედ გადავდევი და წამოვწექი.

აქ მან მძიმედ ამოიოხრა და ცრემლები გადმოეკიდა ქერა და გრძელ წამწამზე.

— წამოვწექი თუ არა მაშინვე დამეძინა და აღარ ვიცი როგორ რა მოხდა. გამოვიღვიძე, ელექტრონი ჩამქრალი იყო. ზეზე წამოვარდი... ტანზედ თეთრეული სულ შემოგლეჯილი მქონდა და სიბნელეში ვიღაცა პირზედ ხელს მაფარებდა. განა წარმოსადგენია ის რაც იმ ღამეს მომივიდა? განა შეიძლება იმის თქმა ვინაც მე უმანკოებაზე ხელი ამაღებინა? მა...მა...ჩემ...მა...ა დამღუპა, მამაჩემმა დამღუპა, მამაჩემმა დალია ჩემი სისხლი.

უკანასკნელი სიტყვების დამთავრება ბოლომისგან ვეღარ მოახერხა და ქვითინი დაიწყო.

— განა წარმოსადგენია ასეთი საზიზღრობა? განა დასაჯერებელია მამისაგან შვილის გაუპატიურება? აბა მითხარით ერთი რომელი მხეცი ჩაიდენს ასეთს სისაძაგლეს?.. აბა მითხარით მას შემდეგ რა უნდა ვიყო მე.

აქ მას კიდევ გული შეუწუხდა. თავი მაგიდაზედ დადო და გულ ამოსკვნილმა ქვითინს უმატა. დიდხანს იყო ასეთ ტანჯვაში და მეც თავბრუ დასხმული შევსცქეროდი მის გაფითრებულ სახეს. რამოდენიმე ხანს შემდეგ თავი ასწია, ცრემლები მოიწმინდა და განაგრძო:

— გაჭივრებით და მწუხარებით როგორც სჩანს ადამიანს სული არ ამოხდება. ოხ... ღმერთო ჩემო! მე მეგონა მამაჩემი მამობრივი სიყვარულით მეალერსებოდა. აბა რა ვიცოდი? თუ მის ხვევნა კოცნაში გამოიხატებოდა მტარვალური მისწრაფება ჩემდამი. აბა როგორ შეიძლებოდა ის წარმომედგინა რომ მამაჩემს სურდა ჩემი სისხლით გაძღომა და შესაფერ მომენტს უცდიდა, ისეთს როგორიც იყო იმ დაქცეულ ღამეს. დედაჩემი თეატრში დაეტოვებია და გამხეცებული სახლში დაბრუნებულიყო, იმ განზრახვით, რომ ჩემთვის ცხოვრების სიტკბოების წვეთები მოესპო. არ ვიცი, გამოინახება თუ არა ისეთი სახელი, რომელიც მამაჩემის მოქმედებას უწოდოს კაცმა.

(შემდეგი იქნება),

**ი. შანიძე.**

---

## სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის წევრთა საზოგადო კრება.

### გამგეობის მოხსენება.

გამგეობის მოქმედება განისაზღვრება 1909—1910 წლის სეზონის ბოლოთი და 1910—1911 წლის მთელი სეზონით.

მძიმე პირობებში მოუხდა გამგეობას მოქმედება. ყოველ ნაბიჯზე დაბრკოლებები ეღობებოდა წინ. მცირე ხნის განმავლობაში გამგეობიდან რამდენიმე წევრი გავიდა. ზოგი თავის სურვილის წინააღმდეგ და ზოგიც თავის ოჯახურ მდგომარეობის წყალობით. ამნაირად ერთ დროს გამგეობაში ცამეტიდან მხოლოდ სამი წევრი დარჩა. დღეს გამგეობაში ხუთი წევრია.

განსაკუთრებით ცუდ პირობებში ჩავარდა გამგეობა 1910—1911 წლის სეზონის დასაწყისში. გამგეობისაგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო ყველა სცენის მოყვარე ქალებმა ერთად დაანებეს თავი წრეს. ქ-ნნი თამარაშვილი და ქიქოძე ქუთაისის დასში მიიწვიეს, ქ-ნნი ლეჟავა და საგინაშვილი ქართულ დრამატიულ დასში, ქ-ნნი

გოგოლაშვილი, ბარათაშვილი და ბაქრაძე თავის ოჯახურ გარემოებათა გამო თბილისიდან წავიდნენ. ქ-ნმა ანგარამ ერთ სცენის მოყვარესთან უთანხმოების გამო დროებით თავი დაანება წრეს, ამას გარდა. წინათ დიდ დახმარებას, დაუზარებლივ და უანგაროთ გვიწევდა ქ-ნი გნბუნია-ცაგარელი, რომელიც წარსულ ზაფხულში გარდაიცვალა.

სცენის მოყვარე ძალების შემცირებასთან ერთათ წრეს დაანება თავი რეჟისორმა ბ. შათირიშვილმა. ბ. შათირიშვილთან ერთათ წრეს თავი დაანება სცენის მოყვარე ბ. ი. ზურაბიშვილმა. თავისი მხრით გამგეობა იძულებული შეიქნა წრიდან დაეთხოვა დროებით სცენის მოყვარე.

ამნაირათ წრემ დაკარგა ყველა თავისი სცენის მოყვარე ქალები, შემცირდა სცენის მოყვარე ვაჟების რიცხვი, აღარა ყავდა ძველი გამოცდილი რეჟისორი. ყველა ესენი გამგეობას საძებარი გაუხდა და ისიც მაშინ, როცა თეტრალური სეზონი უკვე დაწყებული იყო და მუშაობის შეჩერება მოუხერხებელი. გამგეობა იძულებული იყო ესარგებლნა ჯერეთ გამოუცდელ სცენის მოყვარეთა ძალებით და თბილისში მყოფ მსახიობთა დახმარებით.

არ იყო ადვილი შესაფერი რეჟისორის გამოძებნაც იმ დროს ყველა მსახიობები, რომლების რეჟისორად მოწვევა შესაძლებელი იყო, უკვე რომელიმე დასში იყვნენ მიწვეული. იმისთანა პირი, რომელსაც რეჟისორობაც შესძლებოდა და იმდენი თავისუფალი დროცა ქონოდა, რომ სახალხო წარმოდგენებს გაძღოლოდა. არ აღმოჩნდა. ამისთვის გამგეობამ რამდენიმე პირი მოიწვია რეჟისორად. შემდეგში გამგეობისა და სცენის მოყვარეთა შეერთებულმა თათბირმა დაადგინა წარმოდგენების ხელმძღვანელობა მინდობოდა რეჟისორთა რჩევას. ჩვენდა სამწუხაროთ, ეს დადგენილება ცხოვრებაში არ განხორციელდა. წარმოდგენებს რამდენიმე რეჟისორი ერთი მეორესაგან დამოუკიდებლათ სდგამდა.

სცენის მოყვარეთა ძალების შემცირებასთან ერთათ შეიცვალა ქართულ დასის მსახიობთა წრესთან დამოკიდებულებაც. მსახიობები სიამოვნებით იღებდნენ „წრის“ წარმოდგენებში მონაწილეობას, ეხლა უსასყიდლოთ არც ერთს არა სურდა მონაწილეობა. თუმცა ასსყიდელს მცირეს სჯერდებოდნენ, მაგრამ ეს მცირე სასყიდელიც მძიმე ტვირთათ აწვებოდა ჩვენს ღარიბ ხალხს. ერთად ერთ სასიამოვნო გამონაკლის შეადგენდა მსახიობი ქალი. ქ-ნი ელისაბედ ჩერქეზიშვილი, რომელიც წრის დაარსებიდან დღემდის მუდამ, როდესაც კი გარემოებას ნებას აძლევდა, დახმარებას გვიწევდა.

აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მსახიობმა ეფემია მესხმა წრის წარმოდგენაში ორჯერ მიიღო მონაწილეობა და ორჯერვე უსასყიდლოთ. სხვა მსახიობები კი, ზოგი იმას ამბობდა, რომ ერთი მეორეს მაგალითზე გვითითებდნენ: იმან თუ აიღო, მე რატომ არ უნდა ავიღოთ. ერთი მსახიობი იქამდის მივიდა, რომ, აქაო და ყოველი შრომა უნდა დაფასდესო, ერთი ღამით ფიესა არ გვათხოვა. სანამ რვა მანეთს სასყიდელს არ შევპირდით, თუმცა თითონ წრის ფიესებითა და როლებით უსარგებლნია და ძლიერ ხანგრძლივათაც.

მსახიობისაღმი სასყიდლის მიცემა დიდ ზარალს აყენებდა წრეს. ნივთიერი მხარეც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, ეს სასყიდელი სცენის მოყვარეებში უკ ყოფილებას იწვევდა, და საზოგადოთ საქმეში დეზორგანიზაცია შეჰქონდა.

ამნაირათ მსახიობთა მოწვევით ზარალობდა წრის ორგანიზაციული და ნივთიერი მხარე, მათი მოუწვევლობით წარმოდგენების ხელოვნური და იდეური მხარე. ბოლოს გამწვავდა დამოკიდებულება წრისა და ქართულ დრამატიულ საზოგადოების შორის. ქალაქის გამგეობის დადგენილებით სახალხო სახლში სახალხო დღეები ეკუთვნოდა ფორმალურათ დრამატიულ საზოგადოებას, ფაქტიურათ კი წრეს. ამათს წინააღმდეგ არა ქონდა რა წინათ დრამატიულ საზოგადოების გამგეობასაც, რომელიც თანახმა იყო ქალაქის გამგეობის ამ გვარ დადგენილებაზე.

როდესაც ბ. შათირიშვილმა წრის რეჟისორობას თავი დაანება, დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ ისარგებლა ამ შემთხვევით, და მოინდომა სახალხო დღეების მითვისება. დრამ. საზ. გამგეობის ორმა წევრმა გამოუცხადეს სახალხო სახლის გამგეს ბ. ჩუბინაშვილს, რომ შემდეგი სახალხო დღე აღარავისთვის მიეცა, რადგან დრამ. საზ. თითონ სურს სახალხო წარმოდგენების გამართვა. როდესაც ჩვენ ამის გამო შევეკითხეთ ქართულ დრამატ. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს, მან ცივი უარი გაასცხადა: არაფერი ამის მზგავსი ჩვენ არ ჩაგვიდენიათ.

გავიდა მცირე ხანი და, დრამ. საზოგ. იმავე გამგეობამ მოითხოვა ქალაქის გამგეობისაგან უკვე ოფიციალურათ, რომ დღეები ჩამოერთვა წრისათვის და გადაეცა დრამატ. საზოგადოების გამგეობისათვის. უკანასკნელი სხვათა შორის მით ასაბუთებდა თავის მოთხოვნილებას, რომ რამდენიმე წრის წევრი, ჩამოშორდნენ წრეს შეადგინეს ცალკე, დამოუკიდებელი სექცია, და მათ სურთ მასთან სახალხო წარმოდგენების დრამ. საზოგ. გამგეობას. მათ გადასცეს ეს დღეებით: ამნაირათ წრის რამდენიმე წევრი დრამატიულ საზოგადოების გამგეობასთან ერთათ მოქმედებდა წრის წინააღმდეგ.

ქალაქის გამგეობამ საკითხი ჩვენს სასარგებლოთ გადაწყვიტა და დღეები დღეს ჩვენს წრეს ეკუთვნის.

ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობამ ამაზე იმით გვიპასუხა: რომ თავის მსახიობებს კატეგორიულათ აუკრძალა წრის წარმოდგენებში მონაწილეობა. რის გამო ჩვენ დავკარგეთ ქ-ნი ე. ჩერქეზიშვილი, რომელიც როგორც ზემოთაც მოგახსენეთ მუდამ უსასყიდლოთ იღებდა ჩვენს წარმოდგენებში მონაწილეობას. დავკარგეთ აგრეთვე ერო-

ველგვარი საშუალება, მსახიობები მოგვეწვია ჩვენს წარმოდგენებში.

ამას გარდა წინათ, დრამატიულ საზოგადოების გამგეობა უსასყიდლოთ გვაძლევდა ისტორიულ ტანისაცმელსაც და ყოველგვარ ხელსაწყოსაც, როცა კი მივმართავდით. ამ ინციდენტის შემდეგ ეს დახმარებაც მოგვისპო დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ.

აქ ჩამოთვლილი გარემოებების ის მოყვა შედეგად, რომ გამგეობის მოქმედების გეგმა უმეტეს ნაწილათ მხოლოდ კეთილ განზრახვების სამთავროში დარჩა. სხვათა შორის დიდი განსხვავებაა სეზონის დასაწყისში შემუშავებულ ცხოვრებაში განხორციელებულ რეპერტუარებს შორის.

ამათ გარდა დიდ არევ-დარევას იწვევდენ ის კერძო წარმოდგენები, რომლებიც სახალხო სახლში იმართებოდა. რამდენიმე კერძო პირი, რომელთა შორის ყველაზე უფრო თავი ისახელა ვიღაც შანშიევმა, სარგებლობდენ იმ შემთხვევით, რომ სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენებზე ხალხი ბლომათ დადიოდა, მოაგროვებდენ ვიღაც ე. წ. სცენის მოყვარეებს და მათი დახმარებით სდგამდენ წარმოდგენებს, უმეტეს ნაწილათ კლასიკურს ან ისტორიულ პიესებს, რომლებსაც ხალხი ძლიერ ეტანებოდა.

ეს გარემოებაც ძლიერ ხელს გვიცარავდა. ამ წარმოდგენების პირდაპირი კონკურენციაც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, ისიც საკმარისი იყო, რომ ეს უკანასკნელი წარმოდგენები საზოგადოებას სახალხო სახლს აძულებდა და სახალხო სახლთან ერთათ წრესაც, რადგან ხალხს ყოველი ქართული წარმოდგენა წრისა ეგონა.

გამგეობის საზრუნავი საგანი იყო, ბილეთები ისეთ წრეებში გავრცელებულიყო, რომლებიც უფრო საჭიროებდენ. ამისათვის თავიდანვე ბილეთებს გამგეობის წევრები და რამდენიმე არა წევრიც ყიდდენ რკინის გზისა და სხვა სასელოსნოებში. ამ გზით იმას ვაწევდით, რომ ბილეთები სასურველ წრეებში ვრცელდებოდა, ხელ-მოკლე ხალხს აღარ უხდებოდა შაურიან და ორშაურიან ბილეთებისათვის რამდენიმე ვერსის მანძილიდან მოსულიყო ამავე გზით საკმაოთ აილაგმენ ის წვრილი წურბელა ჩარჩები, რომლებიც ადრიანათ ყიდულობდენ იაფ-ფასიან ბილეთებს და შემდეგ მომეტებულ ფასებში ყიდდენ ხან შაურიან ბილეთს, 70 კაპ. ყიდდენ. მართალია, ამისთანა შემთხვევები ბილეთების ხელზე გაყიდვის დროსაც ხდებოდა, რადაც მანქანებით ეს ბილეთები ჩარჩების ხელში მაინც გადადიოდა, მაგრამ ამისთანა შემთხვევა იშვიათი მოვლენა იყო, სხვა დროს კი, როცა ბილეთები მხოლოდ, თეატრის კასსაში ის იყიდებოდა, ეს ამბავი სისტემატიურათ ხდებოდა.

აშკარაა, ბილეთების ხელზე გაყიდვა სასარგებლო საქმე იყო წრისათვისაც და საზოგადოებისათვისაც. სამწუხაროთ აქაც დიდი დაბრკოლება აღმოგვიჩნდა. ბილეთების გამყიდველები თავის დროზე ფულს ვეღარ იღებდენ. ამნაირათ ხან ბილეთების ფასი სრულიად იკარგებოდა, ხან კი ბილეთების გამყიდველებს თავისი საკუთარი თანხიდან უნდა შეევსოთ დანაკლისი. ამის გამო ბილეთების გაყიდვას ხან და ხან ვერავინ კისრულობდა, და ბილეთების ხელზე გაყიდვა დრო გამოშვებით წყდებოდა.

გამგეობამ გამართა ერთი სახალხო წარმოდგენა წრის გამგეობის ყოფილ თავმჯდომარის მარიამ ივანეს ასულის დემურიას პატივსაცემლათ იმ მიზნით, რომ წარმოდგენიდან შემოსული ფული მოხმარებოდა განსვენებულის საფლავის გამშვენიერებას. აღმოჩნდა, რომ წარმოდგენიდან შემოსული ფული ძეგლის დასადგამათ არა კმარა. ამისათვის გამგეობამ სურვილი გამოსთქვა შემოსული ფულით შემოევლოთ განსვენებული დემურიას საფლავის მოაჯირი.

საანგარიშო წლის განმავლობაში გამგეობას ქონდა 25 სხდომა. სხდომების სიმცირე სხვათა შორის იმით აიხსნება, რომ, როცა გამგეობაში რამდენიმე წევრი და დარჩა, გამგეობის წევრები, როცა კი შემთხვევის გამო შეიკრიბებოდნენ, და თავის შემთხვევით სხდომის ანგარიშები ოქმში აღარ შეჰქონდათ.

საანგარიშო წლის განმავლობაში დაიდგა 36 წარმოდგენა, და 28 პიესა. მათ შორის პიესები „მსხვერპლი“ და „ქრისტინე“ დაიდგა სამჯერ თითო, პიესები „უდანაშაულოთ დასჯილნი“, „მეზობლები“, „ისმინე ისრაილ“ და „უჩალები“ ორჯერ ბევრი იმ პიესის წარმოდგენა, რომელიც განზრახული იყო, განზრახვადვე დარჩა.

საანგარიშო წლის განმავლობაში შემოსავალი იყო 4299 მან 92 კაპ., გასავალი 4382 მან. 33 კაპ. უმთავრესი ადგილი გასავალში უჭირავს აუცილებელ ხარჯებს, როგორც მაგალ. თეატრის ქირა, ტანისამოსის შესანახი, მარკების ფასი, ტანისამოსის ქირა, რეჟისორის, სუფლიორის, სცენარიუსის, სტოროჟის ჯამაგირი და სხვანი. ამ ხარჯების შემოკლება არც შესაძლებელი იყო, და არც სასურველი. მაგრამ გასავალში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მსახიობთა ჰონორარს. ჰონორარს ბევრი არა საიამოვნო შედეგი მოყვა, მაგრამ ჰონორარის მოსპობა გამგეობამ ვერ შესძლო.

რადგან სარევიზიო კომისიის მოხსენებაში დაწვრილებით არის მოყვანილი კასსის ანგარიში, და რადგან ეს ანგარიში სავსებით ეთანხმება გამგეობისას, საჭიროთ აღარ მიგვაჩნია კასსის ანგარიშის მოხსენება, რადგან სარევიზო კომისიის მოხსენებას თქვენ ეხლავე მოისმენთ.

## სარევიზიო კომისიის ანგარიში.

ზუბალაშვილების სახ. სახალ. სახლთან არსებული ქართულ სახალხო წრის სარევიზიო კომისია სიამოვნებით აღნიშნავს, რომ წრის გამგეობის თაოსნობით და

სცენის მოყვარეთა მუყაითის შრომით, 1910 წლ. 21 თებერვლიდან 1911 წლის 8 მაისამდე, სახალხო სახლში გამართულ იქმნა 33 წარმოდგენა. პირველის შეხედვით ბევს შეიძლება ეს რიცხვი არც ისე დიდათ ეჩვენოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, იმ გარემოებას, რომ სასალხო სახლში მომუშავენი, როგორც სცენის მოყვარენი ისე გამგეობის წევრნი სრულიად უსასყიდლოთ ემსახურებიან იმისთანა რთულ და ძნელ საქმეს, როგორიც სახალხო წარმოდგენების მართვაა, თუ წარმოვიდგენთ რაოდენ დაბრკოლება დაძლევაა საჭირო წარმოდგენათა გასამართავად, როგორც გამგეობის მხრივ, აგრეთვე სცენის მოყვარეთა მხრივ, თუ გვეცოდინება რომ ჩვენის სცენის მოყვარეთა დიდი უმრავლესობა სხვა და სხვა დაწესებულებებში მსახურობენ და თითქმის ყოველ დღე წლის განმავლობაში სამსახურიდან რეპეტიციაზე ეშურებიან, მაშინ ეს რიცხვი ამეტყველდება და ნათლად დაგვიმტკიცებს რაოდენი შრომა და ენერგია შეუწირია სახალხო წარმოდგენებისათვის, როგორც სცენის მოყვარეთ, ისე გამგეობის წევრებს.

ამ 33 წარმოდგენიდამ მიუღიათ 4278 მ. 45 კ., საწევრო ფული შესვლიათ 31 მ., ბანკში შენახულის ფულის სარგებელი 43 კ.

წარსულის წლიდამ დარჩენილი 259 მ. 55 კ. სულ შემოსავალი ჰქონია 4559 მ. 47 კ. აქედამ დაუხარჯავთ:

| | |
|---|---|
| რეკვიზიტზე 160 67 კ. | |
| ორთა შუა რიცხვით თითო წარმოდგენაზედ | 4 მ. 80 კ. |
| პარიკმახერზედ 216 მ. | 6 მ. 55 კ. |
| ტანისამოსის ქირა 268 მ. 11 კ. | 8 მ. 12 კ. |
| თეატრის ქირა, ბილეთების წიგნი და აფიშების გაკვრა 495 მ. | 15 მ. — |
| გონორარი მოწვეულს არტისტებს 584 მ. | 15 მ. 70 კ. |
| სუფლიორს 168 მ. 85 კ. | 5 მ. 11 კ. |
| სცენარიუსს 162 მ. | 4 მ. 99 კ. |
| სტოროჟს 490 მ. | 14 მ. 98 კ. |
| ოთახის ქირა 89 მ. 65 კ. | 2 მ. 71 კ. |
| აფიშების და პროგ. დასტამბვა 168 მ. 96 კ., | 5 მ. 09 კ. |
| ტანისამოსის შესანახი 470 მ. 50 კ. | 13 მ. 99 კ. |
| მარკები 369 მ. 51 კ. | 11 მ. 21 კ. |
| ინვენტარი 28 მ. 42 კ. | — 86 კ. |
| ბიბლიოთეკა 32 მ. 90 კ. | — 72 კ. |
| როლების გადაწერა 126 მ. 71 კ. | 3 მ. 82 კ. |
| ორკესტრი 49 მ. 50 კ. | 1 მ. 41 კ. |
| არ მიღებული ფული ბილეთების 13 მ. 05 კ. | — 39 კ. |
| წვრილმანი ხარჯები 61 მ. 70 კ. | 1 მ. 87 კ. |
| შემთხვევითი ხარჯები 35 მ. | 1 მ. 06 კ. |
| ეტლი 154 მ. 96 კ. | 4 მ. 69 კ. |
| სულ 4382 მ. 33 კ. | 132 მ. 10 კ. |

კასაში არის 177 მ. 14 კ. ამ თანხაში შედის განსვენებულ მარიამ დემურიას ფონდიც 74 მ.

№

## შეცდომის გასწორება.

„სალამური“-ს მე 17 ნომერში დაბეჭდილ გრიშაშვილის ლექსში „ამონაკვნესი“ შემდეგი კორექტურული შეცდომა შეგვეპარა:

მეორე კუპლეტის მესამე სტრიქონზე დაბეჭდილია: „შენ აბა რა ხარ და ჩემ სულთან რა გაქვს საერთო“? უნდა იყოს „შენ არარა ხარ და ჩემ სულთან რა გაქვს საერთო?“.. მესამე კუპლეტის ბოლო სტრიქონის დასასრული ასეა დაბეჭდილი: „შეფრეევით“ უნდა იყოს „შეფრქვევით“. მეოთხე კუპლეტის მეორე სტრიქონი დაბეჭდილია: „ძლთქმის ქვეყანას ველარ დააზრობს ნისლი უტეხი“. უნდა იყოს: „ალთქმის ქვეყანას ვერ დააზრობს ნისლი უტეხი“!..


# ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

**ოცდა მეორე წელიწადი.**

**მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის**

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

**ჟურნალი «ჯეჯილი»** თბილისში ეღირება **4** მან, ქალაქ გარეთ (გაგზავნით) **5** მან.

ნახევარი წლით **3** მან., ცალკე ნომერი **40** კაპ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიათ მიმართონ:

თელავში—კნ. ნ. ჩოლაყაშვილს,

სიღნაღში—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.

ჭიათურაში—ნიკო წუწუნავას.

ბათუმში—მიხეილ კალანდაძეს.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

# იყიდება

ძლიერ დაკლებულ ფასებში

**შემდეგი გამოცემანი:**

1) „**ეშმაკის მათრახი**“ 1908 წლისა (35 ნომერი ერთად შეკრილი) – 1 მან.; დაკაზმული მშვენიერ ყდაში – 2 მანეთი; მსურველს პროვინციაშიაც გაეგზავნება ფოსტით ხოლო გაგზავნის მიემატება — 50 კ.

2) „**მათრახ-სალამური**“ **1909** წლისა (34 ნომერი), დაკაზმული და დაუკაზმავი – იმავე ფასებში, როგორც პირველი.

**3)** „**ეშმაკის მათრახი**“ **1907** წლისა **(13** ნომერი ერთათ შეკრილი) – 1 მ.; გაგზავნით **1—20.**

**4)** „**ალმანახები**“ 1909 წელში გამოცემული: „აკაკი“, „ეშმაკი“, „ჯოჯოხეთი“, „ეშმაკის მათრახი“ და „ტარტაროზი“. (სულ 10 ნომერი ერთათ შეკრილი)—30 კაპ.; გაგზავნით 50 კ.

ვისაც სურს თითო ცალის გამოწერა პროვინციებიდან – ფულის მაგივრად შეიძლება, ღირებული ფოსტის მარკებიც გამოიგზავნოს

ადრესი: Тифлисъ, Типографія Шрома, Мухранская ул. № 12, Теофилу Болквадзе.

---

ელექტრონის სტამბა

# „შრომა“

(მუხრანის ქუჩა, № 12).

ღებულობს ყოველგვარ საბეჭდავ საქმეებს: წიგნებს, გაზეთებს, ბლანკებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. ქართულ და რუსულ ენებზე.

საქმეებს ასრულებს სუფთად და სწრაფად.

ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასებში.

---

პირველ იანვრიდან გამოდის ყოველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი

# სალამური

**ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მანეთი, თვიურათ 50 კაპ. ცალკე ნომერი 10 კაპ.**

დაიბეჭდება: მოთხრობები, ლექსები, კრიტიკული წერილები, პატარა ფელეტონები, საყურადღებო ამბები, კორესპონდენციები და სხ.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები, პირველ გვერდზე სტრიქონი ღირება—30 კაპ., უკანასკნელ გვერდზე კი—15 კაპ.


რედაქცია სთხოვს კორესპონდენტებს ბანდეროლით ნუ გამოგზავნიან ხელთნაწერს, რადგან ამაში ერთი-ორათ იხდის ფასს. არ გამოისყიდის რედაქცია აგრეთვე უმარკო წერილებს.

სტამბა შრომა. რედაქტორ-გამომცემელი, ნ. სულხანოვი.